



თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის

სამართლის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით

2017 წლის 16-17 დეკემბერს, თბილისში გაიმართება

## განგრძობადი იურიდიული განათლების მეექვსე ეროვნული კონფერენცია ბიზნესის სამართალში

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრებს, ასევე სხვა პრაქტიკოს იურისტებს.

კონფერენციაზე განხილული იქნება შემდეგი თემები:

- სოლიდარული ვალდებულებები - სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა;
- სამუშაო ადგილზე დისკრიმინაცია - საქართველოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა;
- კარტელის მტკიცება ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე;
- საარბიტრაჟო დებულებები: შედგენა, აღსრულება და რისკები;
- ქონების შენარჩუნება (კაპიტალის დაცვა) კაპიტალურ საზოგადოებებში, დივიდენდის განაწილება და დივიდენდის მოთხოვნის უფლება;
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა - სასამართლო პრაქტიკა;
- ცრუმაგიერი მფლობელობა - აქტუალური პრობლემები;
- ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დადებული გარიგებების პრობლემური საკითხები;

კონფერენციის მონაწილეები მიიღებენ სერტიფიკატს, ხოლო დაგროვილი კრედიტები ჩაეთვლება განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში სავალდებულო კრედიტ-საათებად.

კონფერენციაში მონაწილეობის ღირებულება შეადგენს **150 ლარს**.

### მონაწილეობის წინაპირობები:

კონფერენციაზე დასწრება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი [ონლაინ რეგისტრაციისა](#) და კონფერენციის საფასურის გადახდის საფუძველზე. ონლაინ რეგისტრაციის ბოლო ვადაა **2017 წლის 4 დეკემბერი (23:00 საათამდე)**. მონაწილეობის საფასურის დაფარვა უნდა მოხდეს **2017 წლის 14 დეკემბრის 14:00 საათის ჩათვლით**.

N.B. მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია და კონფერენციაზე დასწრება მოხდება first come, first served პრინციპით. რეგისტრაცია დასრულებულად ჩაითვლება მხოლოდ ონლაინ რეგისტრაციისა და მონაწილეობის საფასურის გადახდის შემდეგ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: თამარ მადრაძე, ბიზნესის სამართლის ეროვნული ცენტრის მენეჯერი. ტელ: (+995 593) 30 48 41; ელ-ფოსტა: [t.maghradze@freeuni.edu.ge](mailto:t.maghradze@freeuni.edu.ge).